№ 148, ხუთშაბათი, 20 მარტი. 1896—1897 ხუთშაბათი, 20 მარტი, № 148.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელთნაწერებს წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ამ მომდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველ დღიურ გაზეთ
„ცნობის ფურცელზედ“
ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13.
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

ტელეფონი № 346



ტელეფონი № 346

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, დოლის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.

მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—31 წ.)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში. მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, або Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—56)

სათავად-აზნაურო მამულში (ქარვასლაში)
ქირით იძლევა
მშვენიერი, სუფთა, სინათლიანი და ყოველ მხრივ მოხერხებული სადგომები
სავაჭრო მაღაზიებისა და სააღებ-მიცემო კონტორებისათვის
(თითო, ორ-ორი და სამ-სამი თვლები)
Въ имѣніи Грузинскаго Дворянства
Отдаются въ наймы
Свѣтлыя, чистыя и весьма удобныя помѣщенія
подъ конторы, магазины и склады.
Справляться ежедневно въ конторѣ по управленію имѣніемъ Дворянства
Тифлисъ, Дворцовая. (30—12)

გურიის სავაჭრო ამხანაგობა
„შუამავალი“
ჰყიდის აბრეშუმის ჭიის საუკეთესო თესლს. თითოეული კოლოფი (7 მისხალიანი) ღირს 2 მანათად.
საწყობი: ოზურგეთსა და სენაკში—კონ. თავართქილაძის წიგნის მაღაზია;
ლანჩხუთსა და საჯილაოში—ამხანაგობის კანტორაში.
„შუამავალის“ თესლის კოლოფებს „შუამავალის“ ბეჭედი აზის.
(5—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასაანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. შუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. შუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ბ. ა. ნავასარდიანი. 6 $^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.
სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ზერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.** თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია. (წ.)

კბილის ექიმი
ვ. ი. პიპინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

ვექილი
გ. ბ. გვაზავა
ვასრულებ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.
(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).
დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскѣго, Г. Б. Гвазава.
(40—34)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“)

18 მარტი.

პარიზი. პალატა. მრავალი დეპუტატი შეგროვდა; ყველას დიდი აღელვება ეტყობა. ჟულიენი და კოვის როგი, რომელთა სახელებიც გაზეთებში იყო გამოცხადებული, აცხადებენ, რომ ცილი დაგვწამეს, ვსთხოვთ პალატას ჩამოგვართვას პარლამენტის წევრთა ხელ-უხლებელობის უფლება და ამითი შეძლება მოგვცეს ჩვენის თავის დაცვისაო. სალისი და გუდრონიც აცხადებენ, ცილი დაგვწამესო. რუვიეც აცხადებს, მეც ცილი დამწამესო და თხოულობს, ამხადეთ ხელ-შეუხებლობის უფლებაო. მინისტრმა განაცხადა, რომ ნება არა მაქვს ეგ უფლება აგხადოთ და თქვენი სურვილი შევასრულოო. ყოველივე ეს მთავარ ბრალმდებელს უნდა შევატყობინო და ამიტომ კრება შევწყვიტოთ, რომ შემეძლოს ბრალმდებელთან მოლაპარაკებაო. პალატამ დაადგინა, კრება შესწყდესო.

პარიზი. კრების დაწყებისათანავე ლავერტუჟონმა სთქვა, დავადგინოთ: „პალატამ მოიწონა რა მთავრობის განცხადება და სახეში მიიღო რა მისი დაპირება, რომ საქმის მსვლელობას ვაცნობებთ პალატასაო, შესაძლებლად დაინახა გადასდოს და ჯერ-ჯერობით არ დანიშნოს გამომძიებელი კომისია და შევუდგეთ სხვა საქმეთა განხილვასაო“. მელინი დასთანხმდა ამ წინადადებას. პირველი ნაწილი წინადადებისა იმის შესახებ, რომ მოწონებულ იქმნას მთავრობის განცხადებაო, შეწყნარებულ იქმნა 329 ხმით, წინააღმდეგ 243 ხმისა, მეორე—270 ხმით, წინააღმდეგ 268 ხმისა. პალატა შეუდგა ბიუჯეტის განხილვას, რომელიც შეწყნარებულ იქმნა 465 ხმით, წინააღმდეგ 38 ხმისა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. კერზონმა მოახსენა პალატას, რომ ოსმალელთა რაზმს მალაქსის დროებით გაკეთებულ სიმაგრეში სურსათი სრულებით არა აქვს. აჯანყებულნი სურსათის მიტანას ხელს უშლიან. სამი ოსმალელი, რომელთაც სურსათი მიჰქონდათ, ევროპიელთა გემების თვალწინ დაჰხოცეს. ადმირალებმა შეუთვალეს აჯანყებულთა სარდლებს, სურსათის მიტანას ხელს ნუ შეუშლით, თორემ იძულებულნი ვიქნებით ძალ-მომრეობას მივმართოთო. 13 მარტს ადმირალი დეპეშით იუწყება, რომ აჯანყებულებმა, ადმირალების ბრძანების მიუხედავად, სურსათის მიტანას სიმაგრეში ხელი შეუშალეს. ოსმალეთის სამხედრო გემმა აჯანყებულთ დაუწყო სროლა. თუ არც ამას შემდეგ დაიშალეს თავისი აჯანყებულებმა, მაშინ ევროპიელთა გემებიც დაუწყებენ სროლასაო. ადმირალებმა ერთხმად გადასწყვიტეს, ეს ღონისძიება აუცილებლად საჭიროა სიმაგრის დასაცველადაო. იტალიის ადმირალმა ნიშანი მისცა სხვებს და დაუწყეს აჯანყებულთ ზარბაზნების სროლა, რომელმაც ექვს წუთს გასტანა. სროლა რომ გათავდა, აღმოჩნდა, რომ აჯანყებულებს სიმაგრე აუკლიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ. 14 მარტს ადმირალი იუწყება, რომ ოსმალელები წავიდნენ და თავი დაანებეს სიმაგრეს, რომელიც ბერძნებმა აიღეს ორის ზარბაზნის წყალობით. ამ ადგილამდე ევროპიელთ გემებიდგან ადამიანის თვალი ვერ მისწვდებოდა. ზემოხსენებულ სიმაგრის დაპყრობით, აჯანყებულთ დაამტკიცეს, რომ არავითარს ყურადღებას არ აქცევენ ადმირალებს, რომლებმაც ინგლისის ადმირალის პირით გააფრთხილეს. ადმირალებმა გადასწყვიტეს, ხელი შეუშალონ აჯანყებულთა მოქმედებას, მით უმეტეს, რომ მათ მიერ დაპყრობილი სიმაგრე სუდის თოფხანისაკენ მიმავალ გზის პირზეა. 15 მარტს ადმირალი იუწყება: რად-

განაც აჯანყებულნი თავისას არ იშლიან და ამას გარდა საუკეთესო ადგილას უდგათ ზარბაზნები და კანეას ემუქრებიან,—ადმირალებმა გარდასწყვიტეს, ისე მოექცეთ აჯანყებულებს, როგორც მტერს შეეფერებაო და თხოულობენ დაუყოვნებლივ ჯარის მიშველებას, რომ უკეთ დაიცვან ქალაქი. აჯანყებულთა მოქმედებას საზღვარი უნდა დაედვას. კანეაში დიდი შიში და აღელვებაა. ამ ქალაქში თავ-შეფარებულ მცხოვრებლებს შიმშილი და ავადმყოფობა მოელით. იმავე დღეს ადმირალი იუწყება, ცნობები მივიღე, რომ როდესაც ადმირალებმა ვასოსი გააფრთხილეს, მან ამის პასუხად აჯანყებულთ უბრძანა სიმაგრე აიღეთო. 16 მარტს ადმირალი იუწყება, აჯანყებულებმა ზემოხსენებულ სიმაგრის აღების შემდეგ ალყა შემოარტყეს მეორე ციხე-სიმაგრეს, რომელიც ოსმალებს უჭერიათ, სუდის კონცხის იქით. კრიტზე საქმეთა ვითარება იმ გვარია, თითქოს ვასოსი დიდს სახელმწიფოებს ომს უცხადებსო.

კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ადმინისტრაცია.

უმაღლესად ებოძათ სანგრძლივის სამსახურისათვის, კოლლეჟსკი სოვეტნიკობა: ბორჩალოს მაზრის უფროსს თავ. სუმბათიშვილს; ნადვორნი სოვეტნიკობა: ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწეს—თავ. ჩიქოვანს, ქუთაისის მაზრის ბაღდათის ბოქაულს ლენტს, სენაკის მაზრის მარტვილის ბოქაულს ლეჟავაძეს; კოლლეჟსკი ასესორობა: ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის საქმეთ-მწარმოებელს გოციძეს, დუშეთის მაზრის სამმართველოს მდივანს პონჯაძეს, ტფილისის ქალაქის ბოქაულის თან. აღმსრ. თავ. თუმანიშვილს.

ტიტულიარნი სოვეტნიკობა: ოზურგეთის მაზრის სამმართველოს საქმეთ-მწარმოებელს დუდუჩავას; კოლლეჟსკი სეკრეტარობა: ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის მოხელეს სვანიძეს, სტავროპოლის საგუბერნიო მმართველობის მოხელეს ხმალაძეს, ტფილისის საგუბერნიო მმართველობის საქმეთა მწარმოებლის თანაშემწეს თავ. თუმანიშვილს, იმავე მმართველობის მოხელეს სარაჯიშვილს, სენაკის მაზრის I განყოფილების მომრიგებელ შუამავალს თავ. ერისთავს, ერევნის გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა სამზღოს მდივანს ფარეიშვილს და ახალქალაქის მაზრის სამმართველოს თარჯიმანს ბარ. ნოვეს; გუბერნსკი სეკრეტარობა: ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს მოხელეს ფოფხაძეს, სოხუმის ქალაქის ბოქაულის თანაშემწეს გაგუას, ტფილისის პოლიციის ოკოლოდოჩნი ნადზირატელს ვაშაძეს, სენაკის მაზრის სამმართველოს X კლასის მოხელეს სალაყაიას, იმავე სამმართველოს მოხელეს გაბუნიას, სიღნაღის მაზრის სამმართველოს მოხელეს ტყავაძეს, სიღნაღის ბოქაულის თანაშემწეს ნაჭიძეს, შუშის მაზრის ბოქაულის თან. აღმსრ. თავ. ვაჩნაძეს.

დამტკიცებულ იქმნა ტიტულიარნი სოვეტნიკად ცხინვალის სოფლის ექიმი ციცკარაშვილი და კოლლეჟსკი ასესორად ექიმი თარსაიძე.

საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი

სამსახურში განწესებულ არიან: სოფელ რესში მცხოვრები გიორგი იოანნიძე—რესის მთავარ ანგელოზის ეკკლესიის მედავითნის თანამდებობის აღმასრულებლად, 24 თებერვ.

თბილ. სას. სემ. სტუდენტი დიონისე მცხვეთაძე—თბილისის სიონის თომას ეკკლესიის მედავითნედ, ის კი, რომ კურთხეულ იქმნეს მთავარ-დიაკვნად. სამსახურის ახალს ადგილს გადაყვანილ არიან: თიონეთის ეკკლესიის მედავითნე ალექსანდრე კაკასიძე ბობნევის ეკკლესიის მედავითნედ და მის ადგილზედ ყადგილი მედავითნე—მთავარ დიაკონი მოსე კაკასიძე, ორივენი 18 თებერვალს.

საგურამოს წმ. თომას ეკკლესიის მედავითნე მთავარ-დიაკონი გიორგი ახალკაციშვილი და მამკოდის ღვთისმშობლის ეკკლესიის მედავითნე ალექსანდრე ნუცუბიძე—ერთი მეორის ადგილას, 24 თებერვალს.

დამტკიცებულ არს საეკკლესიო მნათის თანამდებობაზედ გლეხი თედორე ბოლქვაძე—ბოდბის-ხევის ფერისცვალების ეკკლესიისა, 10 თებერვ.

დამტკიცებულ არიან საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველოები: ბოდბისხევის ფერისცვალების ეკკლესიის ადგილობრივის მღვდლის იოსებ მანშიაშვილის თავმჯდომარეობით, შემდგარი შემდეგ წევრთაგან: საეკკლესიო მნათის თედორე ბოლქვაძისა, სოფლის მამასახლისის დავით ხოსიტაშვილისა, დიმიტრი ბოლქაშვილისა, ვასილ დულაშვილისა და ნიკოლოზ კმუღაშვილისაგან, 10 თებერვ.

ბოდბისხევის მიძინების ეკკლესიისა ადგილობრივის მღვდლის ათანასე ზენაშვილის თავმჯდომარეობით, შემდგარი შემდეგ წევრთაგან: სოფლის მამასახლისის დავით ხოსიტაშვილისა, ეკკლესიის მნათის ასლან ოთარაშვილისა, ზაქარია ნაცვლიშვილისა, ლევან კოჩრიშვილისა, ზაქარია ზვამეშვილისა, ივანე მგელაშვილისა, ანტონ თუხაშვილისა და მიხეილ მიხაშვილისაგან, ყველანი 27 თებერვალს.

ახალი ამბავი

*** **ბ. კავკასიის მთავარ მართებლის თანაშემწის ჩამოსვლა ტფილისში.** კავკასიის მთავარ მართებლის თანაშემწე, ლენერალ-ლეიტენანტი ფრეზე, 17 ამ თვეს გამოსულა პეტერბურღიდამ და 22 მარტს მოელიან ტფილისში.

*** **ბ. მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის მიერ ქალაქის დათვალიერება.** 18 მარტს, ბ. მთავარ-მართებელმა თავისი ამალა იახლა და ცხენით დაიარა ტფილისი ქალაქის გასაცნობად.

*** **ქუთაისის ბანკის მმართველობის გამო.** ქუთაისის ბანკს დარჩა დიდი მამული თავ. მაჩაბლებისა. საჯარო ვაჭრობაზედ არავინ გამოცხადდა და მმართველები მოჰყვნენ მსყიდველის ძებნას. ერთ-ერთმა მაჩაბლების მემკვიდრემ თავ. ქალმა მ. ს. მაჩაბლისამ შეიტანა თხოვნა ბანკში, რომ თუ ვინიცობაა მსყიდველი გამოჩნდეს, იმასაც გააგებინონ, და ორმოც ათას მანათად ისიც სურველია ამ მამულის სყიდვისა. ბანკის მმართველმა კ. ჩიკვაიძემ თავისი ხელით წააწერა ამ თხოვნას, რომ აცნობონ თავადის ქალს, როგორც ვინმე მოვაჭრე გამოჩნდება. საქმე კი სულ სხვა ფრად დატრიალდა: სრულებით უყურადღებოდ დასტოვეს ეს თხოვნა ბანკის მმართველებმა და ეს მამული მიჰყიდეს ოცდა თვრამეტ ათას მანათად ვექილს გ. აკოფოვს, ბ. ჩიკვაიძის დიდს მომხრეს და მეგობარს. ამას ეძახიან ქუთაისის ბანკის მმართველნი თავად-აზნაურობის ინტერესების დაცვას! მ. ს. მაჩაბლისას, რასაკვირველია, საჩივარი გაუგზავნია უმაღლეს საკრედიტო დაწესებულებაში და იქიდამ პასუხი მოუთხოვნიათ მმართველებისაგან... მაგრამ თუ როგორმე დაირღვა ეს ნასყიდობა, მაშინ ბანკი ვალდებული ყოფილა პირობისამებრ ათი ათასი მანათი ჯარიმა გადაიხადოს... ჩვენ გვაკვირვებს, რომ ბანკის მმართველებმა ასი ათასი მანათი ჯარიმა არ ჩასწერეს პირობაში... განა უფრო მეტი და ტკბილი ლუკმა არ ერგებოდათ?

ჩვენ პირდაპირ მივუთითებთ, ვისიც ჯერ არს, რომ ამგვარს პირობებს და ჭახრაკულ კვანძებს მიაქციონ ყურადღება, თორემ კასსის რევიზიისაგან არაფერი არ გამოვა, რადგან კასიდამ ფულს ვერავინ მოიპარავს, თვით კასსირის გარდა, და მიხეილის ბანკის კასსირი ისეთ პატიოსნად ცნობილია, რომ ყველას თავისუფლად შეუძლიან დაიძინოს.

*** **მუშების ყოფა.** მოგეხსენებათ, რომ ბათომში ყოველთვის დიდ-ძალი ხალხი იყო საქართველოს ყოველ მხრიდან და აქაურ ქარხნებში მუშაობდნენ. ყველა მუშები, ცოტად თუ ბევრად, კარგს მდგომარეობაში იყვნენ და მექარხნეები მადლობელნი იყვნენ მუშებისა. ხოლო ამ უკანასკნელ ხანებში ბათომი გაივსო ოსმალეთიდან გადმოხვეწილი ხალხით და, ასე წარმოიდგინეთ, ყველა ქუჩებში და ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით მათხოვარა ხალხს, რომელნიც მუდმივ ხელ გაშვერილნი გაიძახიან „ჰალაჯან ქრისტიანე... პური მაჭამეო“ და ამოდენა ხალხი ბუზივით მიაწყდა აქაურ ქარხნებს. მექარხნეებმა რომ უარი უთხრეს, როგორც გამოუდეგარ მუშებს, მაშინ ფასი ერთი სამად და ოთხად დაუკლეს და 30 კაპ. 40 კაპიკათ სიამოვნებით კისრულობენ მუშაობას. ამ ნაირმა ფასის დაკლებამ მაინც თავისი გაიტანა და ზედ მეტი კიდევ ის დაერთო, რომ, როგორც მოგეხსენებათ, ზოგიერთი მექარხნეები სომხები არიან და თავიანთებს ჰქომაგობენ. ამ რიგად, დღეს თუ ხვალ, მთელს ბათომში ჩვენებური მუშა ხალხი აღარ იქნება და, საბრალოებმა, თავიანთი ბარგი-ბარხანა უნდა აიკიდონ და გასწიონ სოფლებისაკენ, სადაც შარშანდელისა და შარშანწინდელისა ზამთრებით და მოუსავლობით და წრევანდელის სიმინდის ფასის დაკლებით სულ ერთიანად დაცემული და მიწასთან გასწორებული ჩვენი მდაბიო მუშა ხალხის მდგომარეობა.

საჭიროა, რომ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და რამე რიგი და წესი ჩამოვარდეს სომხების აქეთ-იქით დაბინავებაში, თორემ მართლაც გამართლდა ეს ძველი თქმულება: „მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხიო“. ქართველებს გარდა, ოსმალოს მუშებსაც გამოაცალეს ლუკმა.

თეატრის მატიანე.

ახალი პიესა „მეორე ცოლი“.

კარგა ხანია არ გვინახავს თეატრში ისეთი მშვენიერი პიესა, როგორიც არის „მეორე ცოლი“, სახზუება პინეროსი. ეს პიესა დასდგა თავის ბენეფისში ქალბატონმა აზაროვისამ 15 თებერვალს კორშის თეატრში მოსკოვს. სამწუხაროა, რომ ისეთი ჩინებული პიესა დასდგეს სეზონის დასასრულში და ბევრს არ ეღირსა შემთხვევა ენახა ეს ჩინებული, მშვენივრად დაწერილი და საუცხოოდ ნათამაშევი თხზულება.

ფაბულა, ანუ არაკი პიესისა, რთული არ არის. ობრი ტანკერნეის ადრე უკვდება ცოლი, რომლისაგანაც რჩება ქალი-შვილი ელენა. ობრი მეორე ცოლად ირთავს პაულის (ქ-ნი აზაროვისა), ქალს, რომელსაც ჰეარიტად უყვარს ობრი და ჰსურს, რომ კარგი ცოლობა გაუწიოს. სამწუხაროდ, პაულის წარსული ისეთია.., რომელზედაც მიღებული არ არის ბაასი საზოგადოებაში და რა ბრი წარსულიც ელობება წინ და უშვებს ამისთანა ქალებს ცოლობის, ოჯახის ტაძარში.

ობრი, აუწყებს რა მეგობრებს თავის წერის ამბავს, თავის საცოლის სახელს არ აცხადებს. ეს ამბავი შეატყობინა მხოლოდ საუკეთესო და ახლო მეგობარს, კელი დრემმლს, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, კარგად იცნობს პაულის და მისს წარსულს, რა გვარ გარემოებასაც არ უმალავს თავის მეგობარს. ხოლო ობრიმ ყველაფერი ეს იცის და მიუხედავად ამისა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჯვარის-წერა.

პაული აძლევს ობრის პაკეტს, რომელშიაც არის გამოცხადებული მისი აღსარება, მასში იგი პირახდით აღიარებს თავისს წარსულს და მით ჰსურს წინადვე მოინანიოს ცოდვები, თვით აღიარებს თავისს წარსულს დანაშაულობას, რომ მერე საკვირლად და საოცრად აღარა დარჩეს-რა ქმარს, ვინიცობაა შეიტყოს რამე.

ობრი არც-კი გახსნის პაკეტს, ისე შეაგდებს ცეცხლში. ორთავემ იცოდნენ, რასაც სჩადიოდნენ. ამიტომ ობრი სტოვებს ლონდონის საზოგადოებას და მიდის სოფლად თავისს მამულში. მაგრამ საქმეთა გარემოება გამწვავდება იმით, რომ 17 წლის ქალი ობრისა, რომელიც აქამდის მონასტერში იზრდებოდა, ახლა ბრუნდება მამასთან.

პაულის, რასაკვირველია, არ ეგონა, რომ საზოგადოება აპატივებდა მისს წარსულს და მიიღებდა თავისს წრეში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ეხლა ეს სანატრელ საგნად გაუხდა. ვერც გულ-მართალი სიყვარული ქმრისა, ვერც მისი ჭეშმარიტი პატივისცემა, ვერ იცავდნენ მას იმ მწარე ფიქრებისაგან, რომ საზოგადოება მას ზიზღით უყურებს. ვერც ოჯახში ეპოვნა სულის მშვიდობა. პაულის ჰსურდა, სწყუროდა სიყვარული და მეგობრობა ელენესთან, ეს უკანასკნელი-კი ძალიან გულგრილად ეპყრობოდა. პაულის ეს სწყინდა და ჰკლავდა. თუმცა პაული არ მოელოდებოდა, რომ საზოგადოება მალე დაივიწყებს მისს წარსულს და შეირიგებს, მაგრამ მალე გამოჩნდა ერთი შემთხვევა, რომელმაც ნაცნობები შესძინა. ლედი კორტელიონი, მეზობელი მემამულე და მეგობარი ობრის პირველის ცოლისა, თავად მივა ობრის ოჯახში და სთხოვს, რომ ელენე გააყოლონ პარიზში, შემდეგ ლონდონში, სადაც ახალგაზდა ქალს საზოგადოებაში გამოიყვანდა. ვერც ამ ნაცნობობამ დააკმაყოფილა პაული. პირიქით, მუდმივმა ეჭვმა და მიუნდობლობამ წარმოუდგინა დაცინვა და უკადრისობა იქაც-კი, სადაც ნამდვილად მისთანა არა იყო-რა. ამ მიზეზის მეოხებით, პაული მალე წაეჩხუბა ლედი კორტელიონს, შეურაცხყოფა მიაყენა ყოვლად დაუმსახურებლად უკანასკნელის მიერ. ეს ამბავი გათავდა მეორე უსიამოვნებით. პაულიმ მოიწვია სტუმრად ერთი წინანდელი თვისი ნაცნობი ლედი ორრეიდი, მანდილოსანი უწინაც და ეხლაც ნაძრახის სახელისა.

გავიდა სამი კვირა, რაც ელენე პარიზშია, პაულის-კი პირსუკანაც ჰძულს ელენე. იქამდის მივიდა საქმე, რომ გახსნა საიდუმლოდ ელენეს წერილები მამასთან და მამისა ელენესთან და თუმცა ჰგრძნობდა თავისს დანაშაულობას, ვერა უთქვამს-რა ქმრისთვის, რომელთანაც უმძრახად არის მას შემდეგ, რაც მეგობარი ქალი მოიპატიჟა. ბოლოს გამოუტყდა ქმარს წერილების შესახებ, მაგრამ გვიანღა იყო. მათში ეწერა, რომ ელენეს ხელსა სთხოვს კაპ. არდალი, ახალგაზდა და დამსახურებული სამხედრო კაცი. ვერ მიიღო რა პასუხი მამისაგან და ჰხედავდა-რა ელენეს მხრივაც სიყვარულს კაპიტანისადმი, ლედი კორტელიონი დაეშურა პარიზიდამ შინ წამოსვლას. კაპიტანმა გამოაცილა.

ღლგზნებული სიყვარული იყო მიზეზი, თუ მამის პატივისცემა, ელენე დაუახლოვდა პაულის, მიუალერსა, აკოცა და განუზიარა თავის გულის ვითარება და საქმროს მიმართ სიყვარული. პაული სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ ელენემ მეგობრობა და შვილობა გამოუცხადა. ალტაცებით მიჰვარდა, მოეხვია, გადაჰკოცნა და სთხოვა: აბა ერთი შენი საქმრო მაჩვენე და გამაცანიო. ელენემ დიდი სიამოვნებით შეასრულა დედის თხოვნა.

წარმოსდგა კაპიტანი არდალი... და ოჰ, ჯოჯოხეთის ცეცხლო!... პაულიმ იცნო მასში წინანდელი თვისი საყვარელი! ელენე გადის. პაული ეუბნება არდალს, რომ ყველაფერი ქმარს უნდა ავუხსნაო. ვერც თხოვნამ, ვერც მუქარამ არდალის მხრივ ვერ შეაკავეს პაული. მაშინ არდალი გადის. შემდეგ ყველა გაიგებს ამ ამბავს. ელენე, ძალიან განაწყენებული, აყვედრის დედინაცვალს უფაქიზო წარსულს. ობრი კვლავ აპატიებს პაულის, ელენე უარს ამბობს საქმროზედ. პაული ვეღარ იტანს ამ ცეცხლსა და ტანჯვას და თავს იკლავს.

მოზენეფისემ მშვენივრად შეასრულა პაულის როლი.

ჩვენ ვუსურვებთ ქართულ თეატრის ზედ-ილმლის გამგებელთ ამ პიესის გადათარგმნას და დამდეგს სეზონში წარმოდგენას.

ბიბლიოთეკა

*** **იჯარაზე უარ-ყოფა.** ტფილისის მცხოვრებს ვასილ ხანდამოვს, რომელსაც მნაცაკანის ხიდის ბაქი იჯარით ჰქონდა აღებული 7950 მანათად, თურმე, აღარ სურს ამ საგანზე პირობით შეკრას ქალაქის გამგეობასა. ამიტომ გამგეობას ხანდამოვისაგან ბეთ წარმოდგენილი ფული შეურიცხავს ქალაქის თანხაში და იჯარით ვაჭრობა ხელ-ახლად უნდა დაინიშნოსო.

*** **ქურდობა.** 17 მარტს, საღამოს შვიდი საათის ნახევარზე, ბაღის ქუჩაზე, ალიბეგოვის სახლის ეზოდამ მოქალაქე ნიკოლოზ ამიროვს მოუტაცნია ბავშვის კაბა და საზამთრო ყელ-სახვევი, რომელიც ქვრივს ელენე კონსტანტინოვისას ეკუთვნის. ამიროვი ნაქურდლიანათ ერთად პოლიციას იქვე შეუპყრია.

*** **იშვიათი შემთხვევა.** 8—9 დღეა მას აქეთ, რაც ქალაქელ ერთ სირაჯს გაუგზავნია თავისი ნოქარი მიხეილ შალაშვილი ბ-ნი ე—თან ფულის მისაღებად. ბ-ნი ე. გაჯავრებულა, წარმოდგენილი ანგარიში დაუგლეჯია და თვალებში მიუყრია ნოქრისათვის. შალაშვილი-კი დაჟინებით თხოვდა ფულს. ბოლოს ბ-ნი ე. მივარდნია ნოქარს დანით და უნდა დაეცა, მაგრამ უცბად ხელში-ხელი უტაცნია შალიაშვილს და მით გადარჩენილა სიკვდილს, მაგრამ ამ შეტაკების დროს ხელი მაინც ცოტათი გაუკაწრავს დანით. ყვირილსა და ხმაურობაზე ე—ს მოსამსახურეები შემოცვენილან და შალაშვილი გარედ გაუგდიათ. 8 დღის შემდეგ შალაშვილი, თურმე, უეცრად მძიმე ავად გამხდარა—გარინდებულა (столбнякъ). ერთად ერთი მიზეზი ავადმყოფობისა, ამბობენ, ის შეშინება არის, რომელიც გამოუვლია შეტაკების დროსაო.

*** **აბრეშუმის თესლი.** ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა I ამხანაგობა, ეს მესამე წელიწადია ყოველ ღონეს ხმარობს, შეიძინოს სალი ჭიის თესლი და, რაც შეიძლება, იაფათ მიაწოდოს იგი მეაბრეშუმეებს, რომ ამით გამოაცალოს ხელიდან ჭიის თესლის ყიდვა-გაყიდვა იმ პირთ, რომელთაც ამ საქმისა ძლიერ ცოტა იციან. ამხანაგობამ ბევრად მიაღწია თავისს მიზანს და დღეს მას შეძენილი აქვს საიმედო მეთესლეებისაგან აბრეშუმის ჭიის თესლი, რომელსაც ყიდის კოლოფობით (6—7 მისხალი) ამხანაგებზედ ნაღდად 1მ.—75 კ. თითო კოლოფს, ამხანაგებზე ნისიათ 2 მანათათ; არა-ამხანაგებზე ნაღდათ 2 მანათათ თითო კოლოფს, ნისიათ 2 — მ. 40 კაპეიკათ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ხონში და ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიას ან პირდაპირ კუხში ამხანაგობის გამგეობას.

*** **ქალაქის თვით-მმართველობის საყურადღებოდ.** ლაბორატორიის ქუჩაზედ შენდება ერთი შენობა სრულებით უმართებულოდ. ადგილი ისეთი პატარა არის, რომ კანონის ძალით ქალაქს არ უნდა მიეცა ნება ამ ადგილზედ შენობის აგებისა. შენობა იჭერს თვით ქუჩასაც, რომელიც ვიწროვდება და რაიც ამავე კანონის ძალით აღკრძალულია. ერთი კიდევ ახირებული მოვლენა ამ შენობის გამო:—თვით ქალაქის ხარჯით დაქირავებული სამი მუშა აწვდის ქალაქის მილებიდგან ამ შენობისათვის საჭირო წყალს. ჩვენ გვსურს გავიგოთ, ვისია ეს მამული, ვინ არის ამშენებელი, რომელი არხიტექტორია თავ-მდგური და ეს ქალაქის მუშები რათ მსახურობენ ან და წყალს უსასყიდლოთ აძლევენ თუ არა?.. პასუხს ველით, ვისგანაც ჯერარს. ჩვენის ცნობით, არხიტექტორი ქალაქის თვით-მართველობისა არისო და სიძე ყოფილა ამ მამულის პატრონისა.

*** **„წრეს გადასული სიხარბის“ კანონიერი დასჯა.** ბ-ნო რედაქტორო! წავიკითხე რა თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ წერილი დიდად პატივცემულ იაკობ გოგებაშვილისა—სათაურით „წრეს გადასული სიხარბე“, რომლითაც მიმართავს ზოგიერთ წიგნის გამსყიდველთ საყვედურით, რომ ჩემს წიგნზედ (დედა ენაზე) საკმარისს % % გაძლევთო და თქვენ სიხარბით კიდევ ორი აბაზის მაგივრათ ცხრა შაურათ ჰყიდითო, გთხოვთ მოიხსენოთ შემდეგი: ეს მეოთხე წელიწადში გადავდექი, რაც წიგნის მაღაზია მაქვს და არასოდეს არ გამიყიდია „დედაენა“ ორ აბაზზე მეტათ და ნაკლებათ კი ხშირად. რადგან იმ ზოგიერთ წიგნის მაღაზიებში შეიძლება, ჩემი მაღაზიაც იგულისხმოს მკითხველმა, ამისათვის საჭიროა პატივცემულმა ბ-ნ იაკობ გოგებაშვილმა დაასახელოს ის მაღაზია, სადაც ეგრე ბოროტად ხმარობენ მის მიერ გამოცემული წიგნების სიიაფეს და ამით ააცილოს ის ეჭვი, რომელიც შეიძლება შეიტანოს მკითხველმა სრულიად უდანაშაულო პირზედ.

ვ. ბეჟანეიშვილი.

*** **დ. გუდაუთა** (აფხაზეთი). **უცნაური მეაფთიაქე.** ჩვენს გუდაუთშიაც არის ერთი ვითომ-და აფთიაქი, მაგრამ ვაი ამისთანა აფთიაქის შემყურეთ. მის ბატონ-პატრონისათვის არ არსებობს არც ერთი სხვა მეაფთიაქეთათვის სავალდებულო კანონი: არც ნიხრი, არც დრო და არც სხვა!.. ბ-ნი მეაფთიაქე წამლებს გაურეცხელ და ნახმარ ჭურჭელით იძლევა; ხშირად წასასმელ წამლის ჭურჭელს აწერია „внутренное“ და სასმელზე „наружное“! აგრეთვე, ხშირად მის არ ყოფნობის დროს წამალს იძლევა მისი ცოლი; რასაკვირველია, ამას ცუდი შედეგი უნდა მოჰყვეს, რაიც არა ერთსა და ორს აქაურს მცხოვრებს უვემებია! სასურველია, ვისიც ჯერ არს, ამ ვაჟბატონის თვით-ნებობას ყურადღება მიაქციოს და აჰლაგმოს.

*** **ს. ქვიტოული** (აფხაზეთი). **კისერა და უქმობა.** აქ გაჩნდა კისერა (სკარლატინა) და ხალხს მუსრს ავლებს. ოთხი კაცის სიკვდილის შემდეგ ძლივს ველირსეთ ფერშლის დახმარებას. საკვირველია, ღმერთმანი, რატომ ხან-და-ხან არ დაგვხედავს დრანდის სავადმყოფოს ექიმი ბ. არშანიცინი, რადგანაც ეს მისი მოვალეობაა, როგორც სასოფლო ექიმისა.

აქ საშინელი ქურდობაა: ჩვენს ბარაზე ცხენი და ხარი აღარ დატოვეს ქურდებმა.

*** **დ. ახალსენაკი. აკ. ცაგარლის თხზულებათა II ტომი.** ამ ჟამად კონ. თავართქილაძის სტამბაში იბეჭდება ჩვენის ცნობილის დრამატურგის ავქ. ცაგარლის თხზულებათა II ტომი. ამ ტომში მოთავსებული იქმნება ჯერ დაუბეჭდავი პიესებიც ბ-ნის ცაგარლისა.

*** **ს. ნიგოითი** (გურია). **ხალხის ცრუ მორწმუნოებათა გამოცემა ინგლისურად.** თ. დიმ. მაჭუტაძის მეუღლის, კნ. ანნასათვის ერთს ამერიკელს მეცნიერს უთხოვნია, რომ, რადგან ყველა ერთა ცრუ-მორწმუნოებას ვკრებ და ვამზადებ დასაბეჭდად, ამიტომ თქვენც, ინგლისურის კარგათ მცოდნეს, გთხოვთ ქართველი ხალხის ცრუ-მორწმუნოება შეგვიკრიბოთ და გამოგვიგზავნოთ, ინგლისურათ თარგმნილი*). ეს დავალება პატივცემულის მეცნიერისა, ჯერ ვერ შეუსრულებია კნეინა ანნა მაჭუტაძისას, რადგან დამხმარე ვერავინ ვერ უშოვნია ამ საქმეში.

რუსეთიდგან ლევ ტოლსტოი უგზავნის, თურმე ამ მეცნიერს თავისი ხალხის ცრუ-მორწმუნეობას და არ იქნება ურიგო ჩვენს ინტელიგენციას ცოტათი დახმარება აღმოეჩინა კნეინა ანნასათვის ამ საქმეში და, ვისაც კი რამ გაუგონია ჩვენში ცრუ-მორწმუნოება, წარედგინა კნეინა მაჭუტაძისათვის, რომელმაც ადრევე უნდა გაჰგზავნოს ამერიკაში.

სირცხვილიც იქნება, რომ ყველა ერთა ცრუ-მორწმუნოება მიუვიდეს იმ ამერიკელს და ჩვენ-კი უყურადღებოდ დავრჩეთ... *)

*** **ს. ერკეთი.** (გურია) **ძლივს გვეღირსა სკოლა.** თითქმის გურიის ყველა სოფლის საზოგადოებაზედ ადრე ჩვენ, ერკეთლებს, გვქონდა სკოლა და კარგათაც მიდიოდა სკოლის საქმე, სანამ მასწავლებლად გვყავდა ბ-ნი მახარაძე. ბ-ნმა მახარაძემ, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, მასწავლებლობას თავი დაანება და მას შემდეგ მისი ადგილი სოფლის მწერლებმა დაიჭირეს. ამ ვაჟ-ბატონებს მასწავლებლობა «პროტოკოლების» და „ზაოჩნი რეშენიების“ წერა ეგონათ და საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ სკოლა დაიხურა. დიდი ხანი დავრჩით ერკეთლები უსკოლოდ. ბოლოს, ამ საზოგადოების შვილის, გორის საქალაქო ინსპექტორის ტ. მამალაძის მეცადინეობით ერკეთის საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა, რომლითაც მთავრობას ნება-რთვა სთხოვა ერკეთში ერთ-კლასიანი სკოლის გახსნისა. მთავრობამ დაამტკიცა ერკეთში ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა და გეგმაც გამოუგზავნა საზოგადოებას, თუ როგორი შენობა უნდა აშენებულიყო. თუმცა-და სკოლის გახსნის ნება-რთვა მოვიდა, მაგრამ სკოლის გახსნას ოთხი წელი ველოდებოდით და წრეულს ძლივს ველირსეთ. მიზეზი ამისა ის გახლდათ, რომ სხვა-და-სხვა პირადი ინტერესის დამცველ პირთ უნდოდათ თავიანთ სოფელში გახსნილიყო სკოლა და ამის გამო საზოგადოება ორ „პარტიათ“ გაიყო; თვითოეულს „პარტიას“ უნდოდა, რომ მეორესთვის ეჯობებინა, მაგრამ ამ ახირებულ „პარტიობას“ ბოლო მოუღო ჩოხატაურის ბოქაულის, ბ-ნ გედევან ძღენტის მეცადინეობამ. (გურულებმა მაინც შესანიშნივი ,,პარტიობა'' ვიცით...) სკოლა საშუალო ადგილას გაიხსნა.

სკოლის შენობის აგება საზოგადო ვაჭრობით იყო გაცემული კერძო პირებზე. ამ პირების მოქმედებისათვის დროზე საქმის შესრულებისათვის თვალ-ყური უნდა ედევნებინათ სოფლისავე ამორჩეულთ მზრუნველთ, რომელთა შორის მადლობის ღირსია მზრუნველი აზ. ამბაკო უჯმაჯურიძე და სხვებიც, რომელთაც თავიანთის მეცადინეობით, შემწეობით და ხალხში რიგიანი დარიგებით ეს კეთილი საქმე დააბოლოვეს. აგრეთვე, არ შემიძლია მთელი საზოგადოების პირით მადლობა არ გამოვუცხადოთ ამ საზოგადოების შვილს, პატივცემულ ვაჭარს იორდანე გიორგი ძეს სიხარულიძეს, რომელმაც ამ ჟამად 40 მანათი შემოსწირა სკოლას და კვლავისთვინაც აღუთქვა დრო-გამოშვებით შემწეობის აღმოჩენა. უნდა მოგახსენოთ, რომ იორდანე სიხარულიძე ერთად ერთი ქართველ ვაჭართაგანია, რომელიც არასოდეს არ დაიშურავს შემწეობის აღმოჩენს ყოველსავე საქველ-მოქმედო საქმეში, სკოლა იქნება იგი, ეკკლესია, ბიბლიოთეკა, ღარიბ მოსწავლეთა შემწეობა, თუ სხვა რამ. არა ერთს და ორს დაუმთავრებია მისის შემწეობით საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი, არა ერთი და ორი ეხლაც სწავლობს მისს ხარჯზე.

ფრიად სასურველია, რომ სხვებმაც, შეძლებულ ქართველ ვაჭრებმა, მიჰბაძოს ამ ფრიად კეთილ, შობილის პირის მაგალითს.

სარდიონ ხეველი.

*) ქართველთა ერის ცრუ-მორწმუნოებაზედ ბევრი წერებულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. საჭიროა მხოლოდ მათი გადათვალიერება. რედ.

*** **ს. ქულაში. სასიმინდეს დაწვა.** ღამის 1 საათზე ცეცხლი წაეკიდა და დაიწვა აქაურის მცხოვრების კოსტა ბ—ჩივაძის სასიმინდე, რომელიც სიმინდით იყო ავსებული. აქ სცხოვრობს ერთი ჭკუაზე გადასული კაცი ბ—ვაძე. ამ ბ—ძეს უთქვამს კოსტა ბ—სათვის ამას წინად, რომ ხანდახან ფულები მჭირდება სახარჯოთ და მისაგზლეო. ამაზედ კ. ბ—ძეს უთქვამს: ფულს-კი ვერ მოგცემ და სხვაფრივ პატივს გცემ ყოველთვისაო. ეს ბ—ძეს ჭკუაში არ მოსვლია და გულში განუზრახავს, რაიმე ზარალი მიეცა კ. ბ—ძისათვის და კიდევაც აასრულა თვისი ფიქრი. საწყალი, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი კაცი დასტოვა უსიმინდოთ.

*** **დ. სამტრედია. მატყუარა ვაჭარი.** 14 მარტს ერთმა ქუთაისელმა ურიამ ჩამოიტანა გასასყიდად მანანა. ერთი ფუთი მანანა ქართველიშვილს და ანაცვალაძეს ერთ ფუთ ფხვნილ შაქარზე გამოუცვალა. გავიდა რამდენიმე წუთი, მანანა გასინჯეს და ქვეშ უბრალო სილა აღმოჩნდა ოსტატურად შელებილი; მაშინვე მოსძებნეს ურია და გარდასცეს პოლიციას. პოლიციელმა წამოიყვანა ურია და სულ ჩამოატარა დუქნები და ვისაც-კი ჰქონდა მისგან ნაყიდი მანანა, სულ ყველამ უკან დაუბრუნეს. ბოლოს, პოლიციელმა წაიყვანა ურია სადგურში, აყიდვინა ბილეთი და გაამგზავრა ისევ უკან ქუთაისში, რომ კიდევ სხვისთვისაც მოტყუილებით არ მიეყიდნათ მანანას მაგიერ სილა.

საჭიროა, ამისთანა მატყუარა ვაჭრებს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისიც ჯერ არს, და არც ვაჭრები სტყუვდებოდნენ უსუსურ ბავშვებივით. აქაო და იაფად ჰყიდის საქონელსაო და იმას-კი არ დახედვენ, თუ რას ჰყიდულობენ.

სამკურნალო ცნობა.

ბავშვების თვალების ანთება. პატარა ჩვილს ბავშვებს ხშირად თვალის ქუთოები უსივდებათ ხოლმე, რომელსაც ზოგიერთჯერ სიბრმავეც მოჰყვება. ეს ავადმყოფობა უსუფთაობის შედეგია; შეიძლება დაბანვის დროს უსუფთაო წყალი მოხვდეს, ან კიდევ სახლში მტვრიანი ჰაერი იყვეს და მითი ავსოს თვალი. მოჰხვდება თუ არა უსუფთაობა ბავშვის თვალს, მაშინვე სივდება ქუთუთოები და ჩირქი გამოსდის. ამასთანავე, ბავშვი სინათლეს ერიდება და თვალს ვერ ახელს. ორის სამი დღის შემდეგ მტკივნეულობა იმდენად მატულობს, რომ ბავშვი თვალს ველარ ახელს და ჩირქი ძალიან გამოდსის. თვით თვალის კაკალი იბურება და, თუ ჩქარა საშუალება არ იხმარეს, ბავშვი კიდევაც დაბრმავდება.

მსუბუქ ანთებისათვის საკმარისია პირველხანად მოჰბანოთ თვალი თბილი წყლით ან ჩაით რამდენჯერმე დღეში და სველი სუფთა ტილო შემოადოთ. თვალების მოსაბანათ უნდა აიღოთ პატარა ღრუბელი ან სუფთა ხელსახოცი, ასწიოთ ქუთუთოს და ფრთხილად გამოუსვათ, რომ თან გამოიტანოს უსუფთაობა. თუ ორი-სამის დღის შემდეგ უკეთესობა არ დაეტყო ბავშვს, თვალის ტკივილის კაპლები უნდა იხმაროთ და 1—2 კაპლი ორჯერ უნდა ჩაუშვათ თვალში. ბავშვი გულ-აღმა უნდა დააწვინოთ, ოდნავ ხელით აუწიოთ ქუთუთოები და ისე უნდა ჩააწვეთოთ.

მაგრამ თუ ამ საშუალებამაც არ იმოქმედა, ქუთუთო უფრო გასივდება, მოწითალო ჩირქები უხვად გადმოუვა და მისი მორჩენა მაშინ დიდს ცოდნასა და მეცნიერებას თხოულობს. ამიტომ აუცილებლივ უნდა მიჰმართოთ ექიმს და თუ, ვინიცობაა, ექიმი შორს არის, მის მოსვლამდის შემდეგით შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ: უნდა ხშირად ჰბანოთ თვალები ისე, როგორც ზევითაცა ვსთქვით და ჩირქი აცილოთ. ამას გარდა, გახსნილი ლიაპისი უნდა ჩაუშვათ თვალში დღეში ორჯელ და სველი ტილოც ისევ-ისევ უნდა აფაროთ. უფრო-კი უკეთესია, და მასთან ძალიან სასარგებლოც, ყინული გამოხვიოთ ტილოში და ისე დაადოთ თვალზედ.

უნდა იცოდეთ, რომ ამ გვარი თვალის ანთება გადამდებია, ამიტომ უნდა ეცადოთ, რომ მოწმენდილი ჩირქი არავის მოხვდეს, თორემ, უსათუოდ, გადაედება ბავშვი იქნება თუ დიდი. იგი ძალიან ადვილად გადასატანია, როგორც ხელით, ეგრეთვე ხელსახოცით და სხვა რამ საწმენდით. ამიტომ ყველა ის, რასაც ავადმყოფისთვის ხმარობენ, აუცილებლივ მოშორებული უნდა იყვეს კარგამყოფების სახმართაგან. ბავშვის მომვლელმაც ყოველთვის ბავშვის თვალების მოწმენდის შემდეგ, ხელები უნდა დაიბანოს. ავადმყოფის სამყოფს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში დიდი სინათლე არ უნდა იყვეს, ამიტომ ოთახის ფანჯრებს აუცილებლად ფარდა უნდა ჰქონდეს ჩამოფარებული.

ყველა ზემო ნათქვამის საშუალებით შეიძლება მოევლოს დიდებსაც.

ზ. ედილი

სამეურნეო ცნობა.

საქონლის ზღმურდლი და მისი მოსპობა. საქონელს არა იშვიათად კანი აებურცება ხოლმე, რომლიდგანაც ჩირქი გამოდის და შიგ მატლი ზის. ეს მატლი ზღმურდლია, რომელიც ტყავის ქვეშ დამკვიდრებულა, სწოვს სისხლს და საშინლად აწვალებს საქონელს. ეს ზღმურდლი თებერვალში გამოაჩნდება საქონელს და თან-და-თან იზრდება მთელის ზაფხულისა და გაზაფხულის განმავლობაში და შემოდგომაზედ იკარგება. ხოგჯერ, თუ ვინიცობაა ბევრი დაეხვია საქონელს, საშინლად ასუსტებს, ახდენს და ბოლოს სიკვდილამდისაც მიჰყავს, ამ გვარად მომკვდარ საქონლის ტანში 400 ზღმურდლი უნახავთ.

საქონელი კარგად იცნობს ზღმურდლს და გაიგებს თუ არა მის მოახლოვებას, მაშინვე იწყებს რბენას და კუდს გაიბზეკავს მის მოსაგერებლად. ზღმურდლი უფრო ხშირად ორის ან სამის წლის საქონელს უჩნდება.

მოზრდილი ზღმურდლი დიდი და სქელი ბუზის ოდენაა და როცა ჰფრინავს ბზუის. იგი მხოლოდ ზაფხულში გამოდის და ცხელს დღეებში ესევა საქონელს და მის ზურგზედ კვერცხებსა სდებს. კვერცხიდგან პატარა მატლები ჩნდებიან, ჰხვრეტავენ კანს, შიგ შედიან და სისხლის ჭამით თან-და-თან სქელდებიან. ის ადგილები, სადაც ზღმურდლებია, სივდებიან და კანი იბერება. თებერვლამდის ეს მატლები ვერც-კი ემჩნევა საქონელს, თუმცა იგინი უკვე ზაფხულიდგანვე არიან დამკვიდრებულნი; ხოლოდ თებერვალში სქელდებიან და პირსაც იღებს კანი, რომლიდგანაც ჩირქი გამოდის.

შუა ზაფხულში ისინი ტყავს იცვლიან, გამოდიან კანიდგან და სტოვებენ საქონელს. მიწაზედ დაცემული ზღმურდლი ქვას ან ნეხვს ეფარება. აგვისტოს მიწურულში ბუზად იქცევიან და მისევიან საქონელს.

ზღმურდლის მოსაშორებლად საჭიროა ისეთი რამ წაესვას საქონელს, რომლის გამოც იგი ვერ მიეკარება მას ამისთვის-კი ხმარობენ ხოლმე მაზს, რომელსაც თევზის სიმსუქნისგან, ბელეკონის ნაწვეთიდგან და გოგირდისაგან ამზადებენ. ეს მაზი კვირაში მხოლოდ ერთხელ უნდა წაესვას ზაფხულის განმავლობაში. ეს მაზი ძალიან გავრცელებულია ინგლისის მეურნეთა შორის და საუკეთესო საშუალებათაც ითვლება. ზოგნი კიდევ ღორის ქონში არეულს კარბოლის სიმჟავესაც ჰხმარობენ. ოცი ნაწილი ქონი უნდა იყოს და ერთი კარბოლის სიმჟავე. წაესმება თუ არა ზურგზედ საქონელს ეს მაზი, საქონელი მაშინვე მხიარულად იწყებს ხტუნვას, შიშისა და გაბეცების მაგიერ.

ზ. ედილი.

საღამოს დეპეშა

19 მარტი.

პეტერბურგი. რუსეთში შავის ჭირის შემოტანის საწინააღმდეგოდ დაარსებული კომისია აცხადებს, რომ ვლადივოსტოკის მახლობლად საჭიროა გაიმართოს სამკურნალო-სასანიტარო სადგური, რომელშიაც უნდა შევიდნენ დიდ ოკეანეს ნაპირას მდებარე რუსეთის ნავთ-სადგურებში მოსული გემები, რათა ციმბირზე აღმოსავლეთით რუსეთში შავი ჭირი არ გადმოვიდესო.

ხარკოვი. 18 მარტს ნაფიც მსაჯულთ განიხილეს საქმე პროხოროცევისა, დამნაშავედ სცნეს და კატორგაში გაგზავნა მიუსაჯეს უვადოდ.

პარიზი. დეპუტატი მარე დროებით თავისუფლად არის დატოვებული ავადმყოფობისა გამო, მაგრამ ორი პოლიციელი ჰდარაჯობს მისს სახლს; დეპუტატი ანტიდ ბუაიე დააპატიმრეს.

ტულონი. გემი „ბიუჟო“ კანჯისაკენ წავიდა და საჭირო მასალა წაიღო ქვეითა ჯარის დაბანაკებისთვის, რომელიც კანეასა, სიტიასა და სპინალონგში გადმოსხეს.

ვენა. დეპუტატთა პალატა. ახალჩეხები და არსებულწესის მომხრეაზნაურობა ჩეხიის სახელმწიფო უფლებათა ჩვეულებრივსა და უკვე ცნობილს შესწორებას თხოულობენ. ჩეხიის სოციალ-დემოკრატნი წინააღმდეგნი არიან „ქამთა ვითარებისაგან გაყვითლებულ საბუთის ქაღალდების ამოთხრისა“, თხოულობენ აწინდელ დაწესებულებათა მინიჭებას ავსტრიის ყველა ტომთათვის, უფლებათა თანასწორობის ძალით, და ამბობენ, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება „შევთანხმდეთ და მოვურიგდეთ ჩვენს გერმანელს ძმებსაო“.

ლონდონი. „Times“-ს სწერენ სალონიკიდგან: „საქმეთა ვითარება თანდათან მწვავდება. ამ ჟამად ელასონის გარშემო არის 50,000 კაცი და კრუპპის სისტემის 300 ზარბაზანი. ჰშიშობენ, რომ საბერძნეთის გაუწვრთნელი ჯარი საზღვარს გადავა ხოლმე და ოსმალეთის ჯარს თავს დაესხმებაო“.

კონსტანტინეპოლი. სკუტარში მომხდარ უწესოების დროს მოჰკლეს ორი კათოლიკე და ორიც დასჭრეს. ელჩებმა მიჰმართეს ვალის და მოსთხოვეს, ღონისძიება იხმარეთ, რომ მაჰმადიანები საელჩოს სახლს თავს არ დაესხან, რადგანაც ამის შიში არისო.

წვრილი ამბავი

აბაშეთის მართვაზე. ექიმი ამატო, დაბრუნებული აბაშეთიდამ, გაზეთებში შემდეგსა სწერს აბაშეთის მეფე მენელიკზე. კაცია, ცოტა ცბიერი, უბრალო და სტუმართ მოყვარე. პოლიტიკაში არ ჩამოუვარდება გამოჩენილ ევროპელ დიპლომატებსაო. ძალიან მიმდევარია ევროპის განათლებისა და მალე დააწინაურებს თავისს ქვეყანასაო. ერთი რამ უშლის მხოლოდ ხელსაო, — ეს გახლავთ დედოფალი, რომელიც მტერია უცხო ქვეყნების სწავლა-განათლებისა და მტკიცედ სდგას მამა-პაპათა ადათზედ. ევროპელთაგან იმან გადაიღო აქამდის მხოლოდ ერთი რამ: ჩულქების ხმარება. ეხლა თითქმის ყველა სახელმწიფონი საელჩოებს აწესებენ აბაშეთში. მენელიკი მონარქულია, რომ მალე შემოიღოს თავისს სამმობლოში რკინის გზები, ტელეგრაფი და ტელეფონი.

ვაჭრების საყურადღებოდ.

—

სურამის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 12 მაისს, 1897 წელს, გაიყიდება საჯაროდ უძრავი ქონება გარდაცვალებულის გლეხის ზაქარია ფარსადანის ძის მამინაშვილისა. ვაჭრობა დაიწყება 2,000 მანათიდამ.

—

ქიდალოს სასამართლოს ბოქაული (სიღნაღის მაზრა). აცხადებს, რომ 15 მაისს, 1897 წელს, დილის 10 საათზედ, გაჰყიდის, თავ. სვიმონ იოსების ძის ჩერქეზოვის მამულს, მდებარეს სოფ. ჩაილურში. დაფასებულია 600 მანათად და ვაჭრობაც ამ ჯამიდგან დაიწყება.

—

იგივე ბოქაული აცხადებს, რომ იმავე 15 მაისს გაიყიდება საჯაროდ აგრეთვე მამული თ. სვიმონ ივანეს ძის კაზნაძისა, სოფ. ბაკურციხეში მდებარე. ვაჭრობა დაიწყება 1400 მანათიდგან.

—

გორის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 15 მაისს, 10 საათზე, გაიყიდება მამული თ. ესტატე დიმიტრის ძის თარხან-მოურავისა. ვაჭრობა დაიწყება 1000 მანათიდგან.

პეტერბურგის ბირჟა

კურსები და ფონდები.

პეტერბურგი, 18 მარტი 1897 წ.

ვექსელ. კურსი 3 თვით:	
ლონდონისა 10 გირ. სტ—ში	93,90
ბერლინისა 100 მარკაში	45,92$\frac{1}{2}$
პარიზისა 100 ფრანკში	37,32$\frac{1}{2}$
მდგომარეობა ვექს. კურსისა	მშვიდია
ხუთ-მანათიანი ოქრო	—
ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.)	149
ბირჟის დისკონტი	5$\frac{1}{2}$—7%
4% სახელმწიფო რენტა	99$\frac{1}{8}$
4% შინაგანი სესხი 1 სერიისა	98$\frac{3}{4}$
5$\frac{1}{2}$% „ „ 1893 წლ.	101$\frac{5}{8}$
4$\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. საად.-მამულო ბანკისა	101$\frac{5}{8}$
5% „ „ „ „ „	97$\frac{5}{8}$
4$\frac{1}{2}$% მოწმ. საკრ. საად.-მამ. ბ.	101$\frac{3}{8}$
% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ.	274$\frac{1}{2}$
5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ.	244
5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ.	210$\frac{1}{2}$
„ ოქროს რენტა 1884 წ.	—
4$\frac{1}{2}$% გირ. ფურ. ურთ. შორის საად.-მამ. საკრ. საზოგად.	157$\frac{1}{4}$
4% სახელ. რკინ. გზ. რენტა	—
4$\frac{1}{2}$% კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ.	101$\frac{3}{4}$
„ „ 2 გამ. 1892 წლ.	101$\frac{3}{8}$
4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ.	152$\frac{1}{2}$
4$\frac{1}{2}$% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ.	101$\frac{3}{8}$
„ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ.	101$\frac{3}{8}$
„ ობლ. სამხრ.-აღმოს. რკ. გზ.	101$\frac{3}{8}$
4% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ.	96$\frac{3}{4}$
4$\frac{1}{2}$% სესხი ქ. პეტერბურგ.	99$\frac{3}{4}$
4$\frac{1}{2}$% „ „ ქ. ოდესისა	96
5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ.	101$\frac{1}{2}$
4$\frac{1}{2}$% „ „ „ „	99$\frac{1}{4}$
5% . . . . მოსკოვისა	101$\frac{1}{4}$
5$\frac{1}{2}$% ობ. ოდეს. საკრ. საზ.	100$\frac{1}{2}$
5% „ „	100
4$\frac{1}{2}$% „ „	94$\frac{1}{2}$
5% ტფილისის	98$\frac{3}{4}$
5$\frac{1}{2}$% გირავნ. ფურც. ხერს.	101
5% საად.-მამულო ბანკისა	100$\frac{1}{4}$
4$\frac{1}{2}$% „ „ „ „	96$\frac{1}{8}$
5% „ „ ბესარ.-ტავრ. საად.-მამულო ბანკ.	100
4$\frac{1}{2}$% „ „	94$\frac{1}{2}$
5% ვილენის	100$\frac{1}{8}$
„ დონისა	100$\frac{1}{2}$
4$\frac{1}{2}$% დონისა	95$\frac{1}{2}$
5% კიევისა	100$\frac{3}{4}$
4$\frac{1}{2}$% „ „	95$\frac{1}{8}$
5% მოსკოვისა	101
„ ნიჟ-სამარისა	100$\frac{3}{4}$
„ პოლტავისა	100
4$\frac{1}{2}$% „ „	95$\frac{1}{2}$
5% ტულისა	100$\frac{3}{8}$
„ ხარკოვისა	100$\frac{1}{8}$
4$\frac{1}{2}$% „	95$\frac{3}{4}$
6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ.	102
5% „ „ „	99$\frac{3}{8}$
6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ.	102
5% „ „ „ „	99$\frac{1}{8}$
აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ.	486
„ პეტ. ურიტ. და სესხ.	690
„ პეტ. ერთა-შორისის.	590
„ რუსეთის შინაგ. ვაჭ.	395$\frac{1}{2}$
„ ვოლგა-კამას კომერ.	1250
„ პეტერბ.-მოსკოვის კომ.	395
„ პეტ.-აზოვის კომ.	350
„ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან.	325$\frac{1}{2}$
„ აზოვი-დონის კომ. ბან.	575
„ ვარშავ. კომერ.	470
„ მოსკოვ. საერთაშ. ბან.	407
„ ციმბირისა	670
„ ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ.	575
„ ვილენისა	575
„ დონისა	640
„ კიევისა	740
„ მოსკოვისა	680
„ ნიჟეგოროდ. და სამარის	615
„ პოლტავისა	557
„ პეტერ.-ტულ. საად.-მ.ბ.	371
„ ხარკოვის საად.-მ. ბან.	456
„ პეტერბ. განათ. საზოგ.	122
პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად.	8100
აქციები „ „ „	406
„ პუტილ. ქარხნის საზოგ.	120
„ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ.	470
აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“	191
„ რუს. და ბელგ. მეტალ.	255
„ მალცევის ქარხნებისა	555
„ რუს. ოქრ. საზოგად.	246
„ რუს. დამზ. საზ. 1827 წ.	1500
„ „ „ „ 1835 წ.	310
„ დამზ. საზ. „სალამანდრა“	400
„ პეტერ. დამზღ. საზოგ.	425
„ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ.	780
„ დამზღ. საზ. „როსსია“	385
„ საზ. „რუსს. ლლოიდ“	1100
„ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ.	120
„ დამზღვევი საზოგად. კ. „ნადეჟდა“	235
„ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო	565
„ საზ. „კავკაზ და მერკურ“	375
„ ნავოსნ. დნეპრზე	90
„ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ.	480
„ კიევი-ვორონეჟ.	400
„ რიბინსკისა	156$\frac{1}{2}$
„ სამხრეთ-აღმ. რკინ. გზ.	175

მდგომარეობა ფონდის ბაზრისა— მშვიდია

რედაქციის პასუხები

რედაქციას თავის მოვალეობად მიაჩნია აუწყოს პატივცემულთ მოამბეთ და კორრესპონდენტებს, რომ ის წერილები, რომელნიც გაურჩეველის და გაურკვეველის ხელით იქმნებიან დაწერილნი, სრულიადაც არ იქმნებიან წაკითხულნი და ჰპოვებენ ადგილს, ნაცვლად გაზეთის ფურცლებისა, სარედაქციო კალათაში. გარდა ამისა, რედაქცია უმორჩილესად სთხოვს მოამბეთ, ნაწერში გვერდზე ცარიელი ადგილი დასტოვონ ხოლმე, რომ შესწორება და ჩამატება შეიძლებოდეს. უსახელო წერილები არ მიიღება, რედაქციამ თვით, უეჭველად, უნდა იცოდეს მოამბის ვინაობა და ადრესი.

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ. მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

ნიხრი

იანვრის 28-დამ 1897 წ. ვიდრე შეიცვლებოდეს

მროხის ხორცი 1 ხარისხისა

უძვალოდ 1 გირვანქა	8 კაპ.
სუკი 1 გირვანქა	12 „
ცხვრის ხორცი უძვალოდ 1 გირვანქა	8 „

განცხადებანი

დროებით ისყიდება ვარშავის

ყრუ-მუნჯთა ხელ-საქმობა

მშვენივრად და შნოიანად გაკეთებული ხისაგან სხვა-და-სხვა სურათების ჩარჩოები, სამელნეები, თეფშები, საფერფლეები და სხვა მრავალი ოჯახში საჭირო ნივთი.

ადრესი: ტფილისი, კორონცოვის ქუჩასთან, „ვენეციას ნომრებში“ № 6.

Кустарныя издѣлія Варшавскихъ Глухо-нѣмыхъ; изящныя вещи справится въ номерахъ „Венеція“, по Воронцовск. улицѣ. (3—3)

განსაკუთრებულ

საათების

სახელოსნო

ბეგლიარ

ავაკიანცისა

სიონის აზნაურთ ქარვასლა.

ვღებულობ ყოველგვარ საათებს შესაკეთებლად. ფასი ყველაფერზე ზომიერია. ყოველ შეკვეთას ვასრულებ წმინდად და სინიდისიერად.

ბეგლარ ავაკიანცი.

იქვე გამართულია

საოქრომჭედლო სახელოსნო

ნიკოლოზ იმედოვისა

სახელოსნო ასრულებს ყოველ გვარ საქმეს ოქრო-მჭედლურ ხელობისას სუფთად, მკვიდრად, შნოიანად, სწრაფად და იაფად!

(30—12)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Марта 1897 г. სტამბა მ. მარტმის და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.